საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზემო თელეთი



ზემო თელეთი, სოფელი გარდაბნის მუნიციპალიტეტში (ქვემო ქართლის მხარე), თელეთის ქედის სამხრ. კალთაზე, თბილისი–მარნეულის საავტ. გზაზე. თელეთის თემის ცენტრი (სოფლები: ზ. თ., ახალწყარო, მუხრან-თელეთი, ქვემო თელეთი, წალასყური). ზ. დ. 700 მ, გარდაბნიდან 37 კკურსივიმ, ფონიჭალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 12 კმ. 847 მცხ. (2002). სოფელში შემორჩენილია წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია (XIX ს. II ნახ.) და კოშკი – სამრეკლო, რ-იც 1832 საფუძვლიანად შეუკეთებიათ. ზედ შემორჩენილია ამავე ხანის ქართული და სომხ. წარწერები. იხ. აგრეთვე სტ. თელეთი.

ლიტ.: Ш м е р л и н г Р., Д о л и д з е В., Б а р н а в е л и Т., Окрестности Тбилиси, Тб., 1960.

მ. უთმელიძე

თ. სანიკიძე